პროექტის გეგმა

ზინა ბუბუტეიშვილი

პროექტის სახელწოდება: „ძამას ხეობის ტაო-კლარჯეთი“

სასწავლო პროექტი:

ინტეგრირებული პროექტი, რომელიც მოიცავდა შემდეგ სასწავლო დისციპლინებს: ისტორია, ქართული. პროექტში მონაწილეობდა 23კადეტი (XIკლასი),

პრობლემის განსაზღვრა და მისი აქტუალობის დასაბუთება:

მეცხრე საუკუნის საქართველოს ისტორიის შესწავლისას ბუნებრივია პარალელს ვავლებთ უკვე შესწავლილ თემასთან- „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასთან“. მოსწავლეებს მხოლოდ ფოტოებისა და ვიდეოების სახით „ვუცოცხლებთ“ ტაო-კლარჯეთის უნიკალურ ტაძრებს, რომლებიც დღეს უკვე თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს და მათი ნახვა ყველასთვის ხელმისაწვდომი არაა. ამიტომ გადავწყვიტეთ მოგვენახულებინა ძამას ხეობა, რადგან ეს სწორედ ის ადგილია, რომელიც იმეორებს ტაო-კლარჯეთის ტაძრების სახელებს. თითქოს ჩვენს თვალწინ იშლება ხანძთელის „საძმოს“ მიერ გაღებული ღვაწლი, წარმოდგენა გვექმნება იმ როლსა და მისიაზე, რასაც ქართველი სასულიერო პირები ასრულებდნენ ჩვენი ქვეყნის მშენებლობის საქმეში.

ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა ერის სულის გამომხატველია.გიორგი მერჩულის "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" ეპოქალური ძეგლია. მდიდარი და მრავალფეროვანი ქართული ლიტერატურა ნასაზრდოებია გმირული ისტორიული წარსულით. ხანძთელის ცხოვრება და მოღვაწეობა ანარეკლია თანადროულითუ წინა ეპოქების მოვლენებისა, ერთგვარი ისტორიული რაკურსია, რომელიც მოსწავლეებს წარმოდგენას შეუქმნის მის სამოღვაწეო მრწამსსა და სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე; წარმოაჩენს სასიქადულო საეკლესიო და ეროვნული მოღვაწის სულისკვეთებასა და მებრძოლ ხასიათს.ისტორიულ-ლიტერატურული და ცხოვრებისეული,პირადი მაგალითი ძალიან ბევრის მომცემია ახალგაზრდობისთვის.

პროექტის მიზნები:

- საქართველოს ისტორიის აღნიშნული პერიოდის შესწავლა
- მოსწავლეთა პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება
- საგანთა შორის ინტეგრირება
- შემოქმედებითი უნარების განვითარება
- მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება
- საკონფერენციო თემის მომზადება და წარდგენა მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე.

ისტ.XI.7.

მოსწავლეს შეუძლია ამა თუ იმ ქვეყნის მატერიალურ და სულიერ კულტურაზე რელიგიის გავლენის ანალიზი.

ინდიკატორები

- ✔ საკლასო დისკუსიისას მსჯელობს, თუ რა გავლენა მოახდინა ქრისტიანობამ ქართველი ხალხის ხელოვნებასა და ყოფაზე; ავლებს პარალელებს სხვა რომელიმე ქრისტიანულ ქვეყანასთან;
- ✔ მსჯელობს, თუ როგორ იცვლებოდა ურთიერთდამოკიდებულება საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის სხვადასხვა ეპოქასა თუ ქვეყანაში და რა გავლენას ახდენდა ეს ცვლილებები ქვეყნის კულტურულ განვითარებაზე.

ქართ. XI. 1. მოსწავლეს შეუძლია საჯარო მოხსენების წარმოდგენა (ზეპირი გამოსვლა)

კონკრეტული აუდიტორიის წინაშე.

ქართ. XI. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ეპოქის ტექსტების გაანალიზება მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით.

ქართ. XI. 9. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ნაწარმოების წერილობით გაანალიზება.

ამოცანები და განხორციელების გზები:

პროექტის მიზნის შესაბამისად დაისახა და ეტაპობრივად შესრულდა ქვემოთ

ჩამოთვლილი აქტივობები:

1. პროექტის გეგმის შექმნა; განხორციელების ვადების დადგენა; ჯგუფის

წევრებს შორის დავალებების განაწილება (ოქტომბერი – 2015)

2. მასალების შეგროვება, დახარისხება და პრეზენტაციისთვის გამზადება (ოქტომბერი–2015)

3.ექსკურსია შიდა ქართლი-ძამას ხეობა- ნოემბერი--2015

4. საკონფერენციო თემაზე მოსწავლეთა შერჩევა, სამუშაოს განაწილება-ნოემბერი 2015წ

5. თემის დაწერა და გაგზავნა მოსწავლეთა სასწავლო შემოქმედებით
კონფერენციაზე-დეკემბერ-იანვარი-2016წ

მოსალოდნელი შედეგი:

განხორციელებული აქტივობების შედეგად კადეტებმა შეისწავლეს მე-9 საუკუნის საქართველოს ისტორია, გაიაზრეს სასულიერო პირების როლი და ადგილი ქართული ქვეყნის მშენებლობაში. კარგად დაინახეს საგანთა შორის ინტეგრაცია, დაამუშავეს საკონფერენციო თემა.მოხდა ჯგუფის წევრების კიდევ უფრო დამეგობრება, მათში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება,განუვითარდათ მაღალი სააზროვნო უნარ–ჩვევები.

პროექტისათვის საჭირო ძირითადი რესურსები:

სატრანსპორტო საშუალება, ფოტოაპარატი, საწერ-კალამი, რვეული, ვიდეო გადამღები, სახელმძღვანელო, კომპიუტერი.

პროექტის ხელმძღვანელები: ზინა ბუბუტეიშვილი

ელენე კოხრეიძე